



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 417/ს
18/08/2023

417-21-4-202308181753



მესტიის მუნიციპალიტეტში, მდ. ლუხრაზე შპს „ეკოჰიდროპლიუსის“ 3,55 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰესის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ეკოჰიდროპლიუსის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია მესტიის მუნიციპალიტეტში, მდ. ლუხრაზე 3,55 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰესის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

2017 წლის 14 აგვისტოს მესტიის მუნიციპალიტეტში, მდ. ლუხრაზე შპს „ეკოჰიდროპლიუსის“ 3,55 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰესის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია №54 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. აღნიშნული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, 2021 წლის 21 იანვარს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-142).

შპს „ეკოჰიდროპლიუსის“ 3,55 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰესის მშენებლობა დაგეგმილია მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლუხრაში. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიხედვით, მდ. ლუხრაზე გათვალისწინებულია ბუნებრივ ხარჯზე დამოკიდებული, 3,55 მგვტ დადგმული სიმძლავრის, დერივაციული ჰესის მშენებლობა, რომლის შემადგენლობაში შედის: სათავე ნაგებობა, სადაწნეო მილსადენი და სააგრეგატო შენობა. სათავე ნაგებობის თხემის ნიშნული ზღვის დონიდან 1329,45მ-ია. ეკოლოგიური ხარჯი შეადგენს 0,2 მ³/წმ-ს. ჰესის წლიური ენერგოგამომუშავება 15,88 კვტ/სთ-ს ტოლია. ჰესის სათავე ნაგებობის შემადგენლობაში შედის: 5მ სიმაღლის დამბა (შეგუბების ზედაპირის ფართობი - 98 მ², მოცულობა - 46 მ³), ტიროლის ტიპის წყალმიმღები, სალექარი, სადაწნეო მილსადენის სათავე აუზი, შლუზებიანი წყალგამშვები და თევზსავალი. ჰესის სადაწნეო მილსადენის სიგრძე შეადგენს 2,3 კმ-ს (შიდა დიამეტრი: 0,7მ). სააგრეგატო შენობა (31,2მ X 20,2მ) განკუთვნილია ორი ერთეული 1,8 მგვტ სიმძლავრის პელტონის ტიპის ტურბინისთვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილია: საპროექტო ტერიტორიის გაზრდა, ჰესის სათავე ნაგებობისა და ჰესის შენობის პარამეტრების/მახასიათებლების ცვლილება, ჰესის სათავე ნაგებობის ნაპირდამცავი სამუშაოების განხორციელება, ასევე, თევზსავალის ტიპისა და ადგილმდებარეობის ცვლილება.

სკრინინგის განცხადებას თანდართულ shp ფაილებში არ არის ასახული სათავე ნაგებობა და მისი შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტები, ნაპირსამაგრი ნაგებობები, ასევე ჰესის შენობა. ამასთან, დოკუმენტში არ არის მითითებული აღნიშნული ობიექტების განთავსების GPS კოორდინატები.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის ფართობი შეადგენდა 1,14 ჰა-ს. სკრინინგის განცხადების თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, სამშენებლო სამუშაოების სრულყოფილად წარმართვისთვის (ტექნიკის ფუნქციონირებისთვის) და დერეფანში შეუფერხებელი გადაადგილებისთვის ასათვისებელი ტერიტორია ჯამში გაიზარდა 2,77 ჰა-მდე, თუმცა, სკრინინგის განცხადებაში ასევე მითითებულია, რომ სათავე ნაგებობის განთავსების ტერიტორია გაფართოვდა 0,77 ჰა-მდე, სადაწნეო მილსადენის-1,86 ჰა-მდე, ხოლო ძალური კვანძის 0,22 ჰა-მდე, რომელთა ჯამი შეადგენს 2,85 ჰა-ს. ამასთან, აღნიშნული ინფორმაცია არ არის შესაბამისობაში წარმოდგენილ shp ფაილებთან. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში ასათვისებელი გაზრდილი ტერიტორიის შესახებ ინფორმაცია. გარდა ამისა, დოკუმენტში მითითებულია, რომ დამატებით ასათვისებელ ფართობში ჰესის საოპერაციო ნაგებობების ან დროებითი ინფრასტრუქტურის განთავსება **პრაქტიკულად** არ მოხდება, ამასთან, დროებითი ინფრასტრუქტურის განლაგება სამშენებლო ობიექტებთან ახლოს დადებითად შეიძლება შეფასდეს გარემოსდაცვითი მოსაზრებებიდან გამომდინარე. აღნიშნული ჩანაწერი ბუნდოვანია და დასაზუსტებელია დამატებით ასათვისებელ ტერიტორიაზე გათვალისწინებული დროებითი ინფრასტრუქტურისა და საჭირო სამშენებლო სამუშაოების შესახებ ინფორმაცია.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ჰესის სათავე ნაგებობის პარამეტრების/მახასიათებლების ცვლილება გულისხმობს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული 5 მ სიმაღლის დამბის 0,5 მ-ით შემცირებას და ტიროლის ტიპის წყალმიმღების თხემის ნიშნულის ცვლილებას (ზღვის დონიდან 1329,45 მ-ის ნაცვლად 1327,3 მ). დოკუმენტში მითითებულია, რომ წყალმიმღები აღჭურვილი იქნება ეკრანით (ე.წ. „სკრინინგით“), რომლის გისოსებს შორის სივრცე იქნება მცირე, რაც უზრუნველყოფს სალექარში თევზების მოხვედრის პრევენციას, თუმცა, მოცემული არ არის ეკრანის გისოსებს შორის არსებული უჯრედის ზომა, რაც შეუძლებელს ხდის შეფასდეს სალექარში თევზების მოხვედრის პრევენციისათვის აღნიშნული ეკრანის ეფექტურობა. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს წყალმიმღების ეკრანის გისოსებს შორის არსებული უჯრედის ზომა. დოკუმენტის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, ასევე

დაგეგმილია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული გასასვლელი აუზების ტიპის თევზსავალის ნაცვლად, ბუნებრივთან მიახლოებული თევზსავალის მოწყობა, რომელიც მდინარის მარცხენა ნაპირის ნაცვლად, განთავსდება მარჯვენა ნაპირზე. თევზსავალის ზომები გათვლილია საკალმახე ზონისთვის და იგი აშენდება ადგილობრივი ლოდებითა და ქვებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სათავე ნაგებობის ეროზიისგან დასაცავად, მდ. ლუხრას ზედა და ქვედა ბიეფში გათვალისწინებულია ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება, რომლის ფარგლებში განთავსდება ქვის წყობა (ე.წ. „რიპრაპი“). ამასთან, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ჰესის სათავე ნაგებობის შემადგენელი ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ, მოხდება დროებითი ინფრასტრუქტურის დემონტაჟი და აშენდება მარცხენა სანაპირო კედელი. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია ე.წ. „რიპრაპისა“ და სანაპირო კედლის შესახებ (პარამეტრებისა და GPS კოორდინატების მითითებით), ასევე, არ არის შეფასებული, აღნიშნული ნაგებობების მოწყობით გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, განსაკუთრებით წყლის და წყალზე დამოკიდებულ სახეობებზე, მოსალოდნელი ზემოქმედება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ჰესის სააგრეგატო შენობის პარამეტრების/მახასიათებლების ცვლილება გულისხმობს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული 2 ერთეული (თითოეული 1,8 მგვტ) „პელტონის“ ტიპის ტურბინის ნაცვლად ერთის (3,55 მგვტ) განთავსებას, ჰესის წლიური ენერგოგამომუშავეების 15,88 გვტ/სთ-დან 16,05 გვტ/სთმდე გაზრდას, ასევე, სააგრეგატო შენობის გაბარიტული ზომების და საპროექტო ნიშნულის შემცირებას (გაბარიტული ზომები იყო: 31,2 მ x 20,2 მ და გახდება 16 x 10; საპროექტო ნიშნული იყო: 890,3 მ და გახდება: 896 მ).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ იქნება დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობის და სქემის ცვლილებასთან, ასევე წარმოსაქმნელი ნარჩენების სახეობებისა და რაოდენობების გაზრდასთან. დამატებით ასათვისებელი ტერიტორიის ფარგლებში გათვალისწინებული მიწის სამუშაოებისას ამოღებული გრუნტი სრულად იქნება გამოყენებული საპროექტო ტერიტორიის ნიველირებისთვის.

დოკუმენტში წარმოდგენილია „ლუხრა ჰესის“ დერეფანში დამატებით ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები. ჰესის სათავე ნაგებობის განთავსების ტერიტორიაზე 15 მ სიღრმემდე გაყვანილი იქნა 2 ჭაბურღილი, სადაწნეო მილსადენის განთავსების ტერიტორიაზე 5 მ სიღრმემდე - 3, ხოლო 10 მ სიღრმემდე - ერთი ჭაბურღილი, ხოლო სააგრეგატე შენობის განთავსების ტერიტორიაზე 15 მ სიღრმემდე გაყვანილი იქნა 2 ჭაბურღილი. შესწავლის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ საკვლევ ტერიტორიაზე გვხვდება 2 ძირითადი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე). სგე - 1 წარმოდგენილია მსხვილნატეხოვანი გრუნტებით - ლოდნარით, ღორღით და

კენჭნარით, თიხაქვიშის 30-35%-მდე შემავსებლით. სვე - 2 წარმოდგენილია თიხაფიქალით - კვარც-ქარსიანი რქაულით, თითქმის ვერტიკალური 75-850 დახრის კუთხით, სუსტად გამოფიტული, დანაპრალიანებული, ძლიერ დანაპრალიანებული 0,3-1,0 მ სიმძლავრის შუაშრეებით. დამატებით შესრულებული საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლის შედეგების მიხედვით, საკვლევ არეალში საშიში გეოდინამიკური პროცესების აქტიურობის ნიშნები არ გამოვლენილა.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, მცირდება ჭრას დაქვემდებარებული მცენარეთა ინდივიდების რაოდენობა. კერძოდ, თავდაპირველი პროექტის თანახმად, გათვალისწინებული იყო 1130 ძირი (საერთო მოცულობით 217,96 მ³) ხის მოჭრა, ხოლო ცვლილების შემდგომ მოიჭრება 1085 ძირი ხე (საერთო მოცულობით 192,078 მ³). ამასთან, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში 24 ერთეული „წითელი ნუსხის“ სახეობის (18 ძირი წაბლი და 6 ძირი ბალამწარა) ნაცვლად, მოიჭრება 18 ერთეული (12 ძირი წაბლი და 6 ძირი ბალამწარა). არ არის წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შედეგად დამატებით ასათვისებელ ტერიტორიაზე არსებულ ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხი.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დამატებით ასათვისებელი ტერიტორიის დიდი ნაწილი (27 838 მ²) ხვდება სახელმწიფო ტყეში, რაზეც მოპოვებული იქნება ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება. ამასთან, დოკუმენტში წარმოდგენილ 4.18.1 ცხრილში მითითებულია, რომ სახელმწიფო ტყეში მოქცეული ტერიტორიის ფართობი შეადგენს 39 338 მ²-ს, რაც საჭიროებს დაზუსტებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ არ ფიქსირდება არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და დაცული ტერიტორიები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაეგზავნა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემული არ არის სრულყოფილი ინფორმაცია ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, მათ შორის, დასაზუსტებელია ინფორმაცია დამატებით ასათვისებელი ტერიტორიის ფართობის, მოსაწყობი დროებითი ინფრასტრუქტურისა და საჭირო სამშენებლო სამუშაოების, ასევე, სათავე ნაგებობის ეროზიისგან დასაცავად გათვალისწინებული ნაპირსამაგრი სამუშაოების შესახებ.

სკრინინგის განცხადებაში ასევე არ არის შეფასებული აღნიშნული სამშენებლო სამუშაოების შედეგად გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედება. ამასთან, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით, დასაზუსტებელია რიგი საკითხები. შესაბამისად, საჭიროა დამატებითი შესწავლა და შეფასება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ მესტიის მუნიციპალიტეტში, მდ. ლუხრაზე შპს „ეკოჰიდროპლიუსის“ 3,55 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰესის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ეკოჰიდროპლიუსი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ეკოჰიდროპლიუსს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ეკოჰიდროპლიუსის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და მესტიის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

